# სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება №03-141

ქ. თბილისი

10.02.2015

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 23 იანვრის №03-31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2015 წლის 23 იანვრის N03-31 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეგისტრაციის ვადა, სტუდენტებისათვის რომლებმაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, განისაზღვროს 2015 წლის 9 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით;“

2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ

სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს, სამდივნოს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე- ირინა ბაზღაძეს.

რექტორი

გიგა ზედანია